საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№19/20 „29“ ივნისი 2020 წ.

შ.პ.ს. „ჯორჯიან ტაიმ“-ის ხელმძღვანელობას.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა: ქალაქი თბილისი, თელავის ქუჩა №46/48-ში (ს/კ 01.17.01.078.099) სასტუმროს ასაგები შენობის გავლენისა, ირგვლივ მდებარე საცხოვრებელ სახლებზე.

ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა №46/48-ში შ.პ.ს. „ჯორჯიან ტაიმ“-ის ხელმძღვანელობას, თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.01.078.099. A=852მ.^{2}) დაგეგმილი აქვს სარდაფის მქონე ხუთ სართულიანი, სასტუმროს ტიპის შენობის მშენებლობა, მისი მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა, ტრაპეციის დიდი ფუძის გაბარიტული ზომა შეადგენს l=30.6მ. ტრაპეციის მოკლე გვერდის სიგრძე l=28.61მ. ტრაპეციის სიმაღლეა 19.55მ.-ია.

საპროექტო შენობის მიერ ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ზეგავლენის შესწავლის მიზნით, გამოკვლევა ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.17.01.078.018 ნაკვეთზე არსებული რამოდენიმე ნაგებობა 11/1; 10/1; 9/1; (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით) მთელს სიგრძეზე, ხოლო ნაგებობა 5/1 ნაწილობრივ ემიჯნება საპროექტო შენობას.

სამხრეთიდან საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.17.01.078.010 (მესაკუთრეები: გიორგი მოსულიშვილი; მარინა მოსულიშვილი; მირა ვაშაკიძე; ნათელა მოსულიშვილი). ნაკვეთზე ნაგებობა 1 და 2 (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო გეგმის მიხედვით) ნაწილობრივ ემიჯნება საპროექტო შენობას.

აღმოსავლეთიდან საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება თელავის ქუჩა.

დასავლეთიდან სამშენებლო ნაკვეთს ესაზღვრება ნაკვეთები საკადასტრო კოდებით №01.17.01.078.009 (მინიმალური მანძილი საპროექტო შენობის საძირკვლიდან არსებულ ნაგებობამდე შეადგენს 8.24მ.), №01.17.01.078.012 (მინიმალური მანძილი საპროექტო შენობის საძირკვლიდან არსებულ ნაგებობამდე შეადგენს 7.50მ.), №01.17.01.078.016 (მინიმალური მანძილი საპროექტო შენობის საძირკვლიდან არსებულ ნაგებობამდე შეადგენს 6.76მ.), №01.17.01.078.098 (მინიმალური მანძილი საპროექტო შენობის საძირკვლიდან არსებულ ნაგებობამდე შეადგენს 5.35მ.).

შენობის დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით, ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ უბანზე და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების კვალი არ აღინიშნება. ჭაბურღილებისა და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების მიხედვით, ტერიტორია ჭრილში წარმოდგენილია სამი ფენით:

ფენა-1. ნაყარი გრუნტი. წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, ღორღის, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების ჩანართებით. ფენის სიკვრივე საფონდო მონაცემების მიხედვით 1.78ტ/მ^3-ია. მისი სიმძლავრე 1.0-3.2მ. ფენა უწყლოა.

ფენა-2. კენჭნარი, გავრცელებულია ტერიტორიის ცალკეულ უბნებზე მეორე ფენის სახით 1.0-1.6მ. სიღრმიდან. ფენა შედგება წვრილი და საშუალო ზომის კენჭებისაგან. მათ შორის შემავსებელი ქვიშნარია, რომლის პროცენტული რაოდენობა 30%-ია. ფენის სიმკვრივე ρ=1.99ტ/მ^3. ფენის მექანიკური მახასიათებლებია:

ხვედრითი შეჭიდულობა	c = 0.01კგძ/სმ^2
შიგა ხახუნის კუთხე	φ = 38^0
დეფორმაციის მოდული	E =300კგძ/სმ^2
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R$_0$=3.5კგძ/სმ^2

ფენის სიმძლავრე 2.0-2.1 მ.-ია.

ფენა-3. ძლიერ გამოფიტული გათიხებული ქვიშაქვები და არგილიტები. განლაგებულია 3.0-3.7მ. სიღრმიდან. ფენის ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებია:

სიმკვრივე	ρ=2.04ტ/მ^3.
ხვედრითი შეჭიდულობა	c = 0.23კგძ/სმ^2
შიგა ხახუნის კუთხე	φ = 24^0
დეფორმაციის მოდული	E =245კგძ/სმ^2

პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0=2.9კგძ/სმ^2
ფენის სიმძლავრე 2.0-2.1 მ.-ია.

როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებიდან და წარმოდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, საპროექტო შენობის დაფუძნება განხორციელდება ფენა 3-ზე. მოცემული ამოცანის პირობებში, შენობის საძირკვლის ქვეშ ფუძის მზიდუნარიანობა მაღალია და ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება შენობის მშენებლობისათვის საჭირო ქვაბულს, მისი მოწყობისას ქვაბულის კიდეები უახლოვდება ჩრდილოეთით საკადასტრო კოდი №01.17.01.078.018-თ განსაზღვრულ ნაკვეთზე არსებულ 11/1; 10/1; 9/1; 5/1 ნაგებობებს. სამხრეთით საკადასტრო კოდი №01.17.01.078.010-ით განსაზღვრულ ნაკვეთზე მდებარე ნაგებობებს. აღმოსავლეთიდან საპროექტო შენობის ქვაბული მიუახლოვდება თელავის ქუჩას. იმისათვის, რომ მოცემული მიმართულებებით მშენებლობის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს ჩამოთვლილი შენობა-ნაგებობების მზიდუნარიანობა და უსაფრთხოება, საჭიროა ქვაბულის მოწყობამდე მოეწყოს ნაბურღ-ინექცირებული ხიმინჯები დიამეტრით 15სმ. ხიმინჯების გეგმითი განლაგება მოხდება ჩრდილოეთიდან წითელ სასაზღვრო ხაზსა და საპროექტო შენობას შორის. სამხრეთიდან წითელ სასაზღვრო ხაზსა და საპროექტო შენობას შორის. აღმოსავლეთიდან მთელი სასაზღვრო ხაზის გასწვრივ თელავის ქუჩის დაცვის მიზნით. ხიმინჯების გეომეტრიულ ცენტრებს შორის მანძილი მიღებული იქნას 80სმ. ხიმინჯების საორიენტაციო სიგრძე 5.5მ. ხიმინჯების თავები გაერთიანდება მონოლითური რკინაბეტონის კოჭით, რომელიც უზრუნველყოფს ხიმინჯების ერთდროულ მუშაობას.

დასკვნა

ქალაქ თბილისში, თელავის ქუჩა №46/48-ში შ.პ.ს. „ჯორჯიან ტაიმ“-ის ხელმძღვანელობას, თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.17.01.078.099. A=852მ.^{2}) დაგეგმილი სარდაფის მქონე ხუთ სართულიანი შენობის მშენებლობა შესაძლებელია. იმისათვის, რომ (პირველ რიგში) ნულოვანი ციკლის მოწყობისას სამშენებლო სამუშაოების წარმოებამ არ მიაყენოს ზიანი ირგვლივ, მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს (გამოკვლევა და შეფასება ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის), აუცილებელია გათვალისწინებული იქნას წერილში მოყვანილი რეკომენდაციები. მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით საპროექტო შენობა არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ირგვლივ, მომიჯნავედ მყოფი შენობებისათვის, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში. საჭირო ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების განლაგების გეგმა თან ერთვის ტექნიკურ დასკვნას.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com

ნაბურღ-ინექციური ხიმინჯების მოწყობის გეგმა



KA020180320865218

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ა (ყოფილი ბელინსკი)
10ª, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 11/1557

26 / თებერვალი / 2018 წ.

ბ-ნ მიხეილ სველიძეს (პ/ნ 01011042590)
მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი კორპუსი
№36„3", ბინა №12

ბატონ მიხეილ,

თქვენს 2018 წლის 23 თებერვალის განცხადებაზე პასუხად გაცნობებთ, რომ ბ-ნი მიხეილ სველიძე (პ/ნ 01011042590) სამინისტროს მიერ შეთანხმებულია განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების არსებული შენობა-ნაგებობის საექსპერტო შეფასების განსახორციელებლად.

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო
პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

პირადი მონაცემები (CV).

მე მალხაზ (მიხეილ) ივანეს ძე საველიძე დავიბადე ქალაქ ბათუმში 1962 წლის 22 ნოემბერს. 1966 წლიდან ვცხოვრობ ქალაქ თბილისში. 1979 წელს დავამთავრე ქ. თბილისის №77-ე საშუალო სკოლა. 1980წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (სპი) სატრანსპორტო ფაკულტეტზე სპეციალობით ხიდები და გვირაბები. პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1985 წელს განაწილებით მოვხვდი საპროექტო ინსტიტუტ „საქსახპროექტი“-ს (ამჟამად ამ შენობაში განთავსებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო) პირველ არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში (1985-1987 წლის სექტემბერი) მონაწილეობა მივიღე მრავალი სამრეწველო შენობის დაპროექტებაში. 1987წლის სექტემბრიდან 2005წლამდე ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის სამეცნიერო ინსტიტუტში, გამოყენებითი დრეკადობის თეორიის განყოფილებაში. ინსტიტუტში მუშაობის წლებში გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები გარსული ტიპის გადახურვებში 1990 წელს დავაფუძნე საპროექტო ორგანიზაცია, კოოპერატივი „ხუროთმოძღვარი“ სადაც ვმუშაბდი მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 2005 წლიდან ორგანიზაცია იწოდება შ.პ.ს. ”მონოლითი”, სადაც დღემდე ვმუშაობ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. ორგანიზაციის ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ისნის რაიონი, გელათის ქუჩა №7 (საპრეზიდენტო რეზიდენციასთან ახლოს) ტელეფონი: 277-45-84.

განვლილი წლების განმავლობაში შ.პ.ს. ”მონოლითი”-ში ჩემი ხელმძღვნელობით დაპროექტებული და აშენებულია მრავალი სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების მქონე (სამრეწველო, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და ხელოვნური) ობიექტები, როგორც ქალაქ თბილისის, ისე საქართველოს დანარჩენ რეგიონებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

მოვიყვანთ შესრულებული სამუშაოების მცირე ჩამონათვალს:

- ალუმინის მეორადი გადამუშავების ქარხნის რეკონსტრუქცია ქ. რუსთავში. 1987 წ.
- ქ. რუსთავის ცენტრალური კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 2000 წ.

- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები ქ. თბილისში (დამკვეთები: შ.პ.ს. ”ცენტრ-პოინტი”; შ.პ.ს. ”საბა+”; შ.პ.ს. ”მოდული”; შ.პ.ს. ”D+”). 1997-2008 წწ.
- საინვესტიციო ჯგუფი ”ტიფლისი”.
- მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი შენობები ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქობულეთში.
- მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №8-ში. (საქართველო-ისრაელის ერთობლივი პროექტი). 2008 წ.
- კოჭური ხიდი ქ. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1995-1996 წწ.
- საყრდენი კედელი ქ. თბილისში. (მოსკოვის ქუჩა; ტაბიძის ქუჩა) 1997 წ. 2001 წ.
- სპორტის სასახლე ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირზე. 2007 წ.
- რკინიგზის სადგური ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2007 წ.
- საზკვების კომპლექსები ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. ”წისქვილი”; ”თაღლაურა”; ”ლაკადა”
- ქ. ფოთის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი.
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. (რუსთაველის ქ. №5-ში). 2008 წ.
- ანგარი ავიაკომპანია ”აირზენა”-სათვის ბოინგი 737/500 ტიპის თვითმფრინავების დასაყენებლად. 2001 წ.
- ნავთობპროდუქტების შესანახი ბაზა ავიაკომპანია ”აირზენა”-ს საჭიროებისათვის ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ავიაკომპანია ”აირზენა”-ს თვითმფრინავების მგზავრთა კვებისა და მომსახურებისათვის საჭირო შენობა ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე. 2002 წ.
- ღვინის ქარხნები, ყვარელში, სოფ. აკურაში, წინანდალში. 1998-2002 წწ.
- საცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №78.
- ”ცენტრ-პოინტი”-ს აცხოვრებელი კომპლექსი, ქ. თბილისში, დიდი დიღმის ტერიტორიაზე.
- ყინულის საციგურაო მოედნის კომპლექსის (საბურთალო) რეკონსტრუქცია.
- ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რეკონსტრუქცია, ყვარელში. 2009 წ.
- ქართული კულტურის ცენტრის შენობა ქ. ბაქოში.
- მრავალფუნქციული კომპლექსი ქ. დნეპროპეტროვსკში 2009 წ.
- მუსტაფა ქემალ ათათურქის ქანდაკების კონსტრუქცია (სიმაღლით 29მ.) თურქეთში, ქალაქ ართვინში
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.
- ძაღლსაშენი კომპლექსი მაკედონიაში, ქ. სკოპლე.

- ქ. თბილისის ძველი უბნების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერება.
- ყოფილი "ბერიკონი"-ს შენობა "მშვიდობის" ხიდთან (კაზინო "შანგრილა") 2011 წ.
- საექსპერტო-ტექნიკური დასკვნები შ.პ.ს. „სოკარ"-ის ობიექტებზე. 2013წ.
- ოლიმპიური სოფლელი ქ. თბილისში. ვარკეთილის დასახლება IVმ/რ-ნი. 2013წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ერისთავის ქ.№2 თბილისი 2013წ.

მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ქუთაისში. წერეთლის გამზირი №184 . 2014წ.

- ქ. თბილისი. სოფ. დიღომი. მრავალსართულიანი სავაჭრო-საოფისე შენობა. 2014წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. 26 მაისის სახელობის ნოედნის მიმდებარედ. 2014წ.
- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. ბერბუთიქ. №1;5;5ა. 2015წ
- სასტუმრო ქ. ქუთაისში. გრიშაშვილის ქ.№1-ში (თეთრი ხიდის მიმდებარედ) 2016წ.

- მრავალბინიანი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში. 26 მაისის სახელობის ნოედნის მიმდებარედ. 2014წ.

- შ.პ.ს. „ნიუ ჰოსპიტალს"-ის მრავალსართულიანი სამედიცინო შენობები. კრწანისის ქ.№17. 2017წ.

- შანდორ პეტეფის ქ.№42. 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლი. 2018წ.

- სასტუმრო კომპლექსი გუდაურში 2018წ.

- სასტუმრო კომპლექსი გუდაურში 2019წ. ქ. თბილისში. ცურტაველის ქ№5.

ცალკე აღსანიშნავია სავარიული ნაგებობების აღდგენა-გამაგრებითი საპროექტო სამუშაოები.

ქ. თბილისში დაზიანებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, საავადმყოფოები, სპორტული, ისტორიული მნიშვნელობის შენობები;

რომელთა კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ, აქტიური საავტორო ზედამხედველობის პირობებში შესაძლებელი გახდა მრავალი ნაგებობის გადარჩენა და შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაცია.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე. 599156649/

დიპლომი

КВ № 153475

ეს დიპლომი მიეცა საველიძე
მიხეილ ივანეს ძე საველიძის
მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1985წელს დაამთავრა
სრული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ხიდები და
გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
ქ.ი.საველიძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986წ. „31" XII

სარეგისტრაციო № 4810

Грузинский яз.

ДИПЛОМ

КВ № 153475

Настоящий диплом выдан Савелидзе
Михаилу Ивановичу
в том, что он в 1980 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1985 году окончил полный курс
названного
института
по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „29" июня 1985 г.
Савелидзе М.И.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной
экзаменационной комиссии
Ректор

М. П.

Город Тбилиси „31" XII 1986 г.

Регистрационный № 4810

Московская типография Гознака. 1982.





მობილური ტელეფონი: 599. 15-66-49.